

### საქართველოს კანონი

## „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

### მუხლი 1

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 16.01.2006, მუხ. 16) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).“.

2. 22-ე მუხლის:

ა) პირველი-მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად უცხოელი განცხადებით მიმართავს სააგენტოს პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო თუ იგი იმყოფება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ - საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მეშვეობით.“.

2<sup>1</sup>. უცხოელზე, რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დასარალებული, დროებითი ბინადრობის ნებართვას გასცემს და აღნიშნული პირის დროებითი ბინადრობის ნებართვას აგრძელებს სააგენტო ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე.

3. ბინადრობის ნებართვის მიღებასა და გაგრძელებაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოში საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან 30 დღეს.“.

ბ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლში აღნიშნული განცხადებების განხილვის შემდეგ სააგენტო ვალდებულია აცნობოს უცხოელს განხილვის შედეგები.“.

3. 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უცხოელის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

4. 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უცხოელი, რომელსაც აქვს საქართველოში ბინადრობის ნებართვა, ვალდებულია საქართველოში შემოსვლიდან, ხოლო თუ იგი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისი ნებართვის მიღებიდან 1 თვეში განაგრძოს რეგულარული სამუშაო ან სწავლა საქართველოში.“.

2. უცხოელზე, რომელმაც მოიპოვა ბინადრობის ნებართვა, სააგენტო გახცემს შესაბამის მოწმობას.“.

5. 50-ე მუხლის:

ა) მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თუ მას შეტანილი აქვს შუამდგომლობა სააგენტოში საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად ან საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად – შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მაგრამ არა უძეიეს 3 თვისა:“.

ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. გადაწყვეტილებას უცხოელის საქართველოდან გახელის გადავადების შესახებ იღებს სააგენტო.“.

6. 57-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აღასრულებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი